## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 16 | 1

**წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 1 ივნისი 2013 წ.**

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დანართებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

„მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელზეც შემსყიდველთან გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

„დღე" „კვირა" „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

**2. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
**ერთის მხრივ, შპს "დეზინფექციის სამსახური", რომლის რეკვიზიტებია: მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N, ს/კ , მომსახურე ბანკი - „ლიბერთი" , ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE20 LB 1131385555545000 – (შემდგომში - „შემსყიდველი")**

**და მეორეს მხრივ: ი. მ. თამაზ ლორთქიფანიძე პ/ნ 16001010157 მცხოვრები ქ. დუშეთი ხელოვანის ქ.6 [შემდგომში მიმწოდებელი]**

**3. ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV 34300000 დუშეთის დეზინფექციის სამსახურისათვის ავტომანქანების საბურავების შეძენის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**4. ხელშეკრულების ღირებულება**

4.1 შესასყიდი საქონლის ღირებულება შეადგენს: 300 (სამასი ლარი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

**5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:**

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მიწოდების დროულობაზე.
5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული მომსახურების ღირებულება.
5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.
5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების აქტის" წარმოდგენის შემდეგ.

## 7. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება შემსყიდველისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

## 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში შესაბამისი „მიღება-ჩაბარების აქტის" გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.
8.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 9. ფასები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
9.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

## 12. სუბ-კონტრაქტორები

12.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, სახელმწიფო ასიგნებების შეკვეცით და სხვა.
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

## 14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
14.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ორი დღით ადრე.
15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
15.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
(რიცხვი, თვე, წელი)

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

შპს "დეზინფექციის სამსახურის დირექტორი" /გ. უშიკიშვილი/

შემსრულებელი: /თ.დარიბაშვილი /